



სასაუბრო ფურცელი

მღვდელი

(გუძღვნი აკაკის ხსოვნას)

აბა, სადა ხართ, გმირებო,
ჩემის სამშობლოს შეილებო,
რომ არ მაცლიდით მღერასა,
გულ-ფიცხნო, დალოცვილებო?!
რად იმალები, გამოჩნდი,
მგოსანო განაწილებო?!
მანამდე სისხლი გიდუღდათ,
ჯეილობისა ძარღვებში,
გრძნობა და მღელვარება სჩანს
თქვენს ნაფიქრალში, ნამღერში,
და ეხლა, როცა მოვხუცდით,
ველარ მიცინხართ ამქრებში:
რამ შთანთქა, რამ წარიტაცა
ფრენა იმ მაღალ-ფარდებში?
ნულარ გგონიათ ჩაგწეროთ
თქვენ პოეტების დავთრებში!..
მე ჯავრი მომდის თქვენზედა:
ძალად გულს რისთვის აგზნებდით,
სხვისგან ნასესხებ მარგალიტს
როგორც საკუთარს აბნევედით;
ვისგანაც იგი მიგელოთ
ენას არ წარმოათქმევდით
საქმე ბოლოა: ვისაც სჭირს
სახიერება ერისა,
ბოლომდე არ დაეღვეა
შნო და უნარი მღერისა,
თუნდ რომ სიცოცხლე იმასა
მიეცეს ათას წელისა.
ნამდვილ ნიჭს ჰფიქრობთ, რომ მოჰკლავს
ლახტი ცხოვრების ძნელისა?
ან სატროს გაუტანლობა
ლამაზის, ძველის-ძველისა.
ან გამრავლება ჭაღარის,—
სისუსტე გულის ძეგრისა?
ნამდვილ ნიჭს მხოლოდ ერთი ჰკლავს:
წამი იმ ამოქმენისა—
როს დაირღვევა სიმთელე
კაცის სიცოცხლის ბეწვისა,
როს სული ღვთისგან ჩადგმული
ღვთისგანვე წაერთმევისა.
მაშ სად ხართ, მოხუცებულნო,
სარდლად ექმენით ჯეილთა,
რომ გამოსულან ბრძოლის ველს,
მგოსნობას გამოსეულთა.
მგოსნად გახდომის სურვილით
მრავალთ იმათგან სნეულთა;—
უთხარით რადა სტანჯავენ
მკითხველს, ან თავის სხეულთა!
თქვენ შემოგხედონ მაინცა,
მაგ ასპარეზზე წვნეულთა.
დაღრეჯი სიბერის დროსა,
ჩოვან და ჩანგებ მტვრეულთა.
მე ვენაცვალე ჭაღართა
პოეტის ცეცხლში ხეულთა,

ამ ცეცხლის ალში და მურში
ცხრა კარს ცხრა კლიტით მწყვედუელთა:
ვეთაყვანები ვაჟკაცთა
ციდან ძირს გადმოსრეულთა:
მტირალთ სამშობლოს, ბელზედა,
ქვეყნისთვის ცრემლებ ნთხეულთა;
ჩაჩანაკთ, მაგრამ მტრის წინა,
მაინც ხმალ-ამოდებულთა.
დაფნის გვირგვინი ეკუთნის,
მხოლოდ მათ, როგორც რჩეულთა
ვაჟა-ფშაველა.



მღვთაინილ გზაზე

მე ვღუშვარ და ჩემი ფიქრი ათას გულში დაწანწალებს—
თანამგრძობელ გულს დაეძებს, თანამგრძობელს ეძებს თვალებს;
მე ვღუშვარ და სიტყვა ჩემი—ისარივით გასროლილი,
ზოგს აუშლის სულის ტკივილს, ზოგთან ჰკენება ვით ყვავილი!..
ბევრთან ვიყავ და კვლავ ბევრის მე შევალე გულის კარებს,—
მაგრამ ბნელა, ყველგან ბნელა—ახლო არვინ მიმიკარებს!..

და მივეყვები მოწყენილ გზას... ჩემი ეჭვი მეკითხება:
—სად მოვსულვართ, სად მივდივართ, რა დავტოვეთ წინ რა გვხვდება?—
და ეს ცივი გამოცანა ჩემში ხშირად მეორდება,
ვერ ავხსენი ღღევანდლამდე და კვლავ გამოცანად მრჩება!..
—სად მივდივართ შემოქმედო, მე და ჩემი სიმარტოვე?—
რაც გამაჩნდა, ის დავკარგე, სანაცვლო კი ვერსად ვპოვე!—
მე ამ გზაზე მიზანს ვეძებ მაგრამ მითხარ, მის სახელი
სასაფლაო ხომ არ არის, ან სიკვდილის ცივი ხელი?!

.....
ეჭვ: კვლავ მივალ... სწრაფვა ჩემი ეჭვით როგორ გაიყოფა?—
მე მას მოვკლავ და დაეახრჩობ,—კვლად შემწვეს ნების ყოფა!—
ვიცი, მჯერა, როცა ბნელა მაშინ მზესა როდი სძინავს?—
ის კვლავ სიცოცხლობს ღრუბლებს იქით, ძველებურად ისევ ბრწყინავს...
და მეც ვეძებ ჩემს ბნელ გზაზე... ძველებურად ველი, ველი,—
ვეძებ რადგან ღმერთმა მითხრა:—„ეძებდე და იყავ წრფელი!..“

.....
წუთს ძველ წუთის სიკვდილი ჰშობს, წუთთა ზღვა კი საუკუნეს;
და ამ სიკვდილ-სიცოცხლეში წრფელი მგზავრიც ჰპოვებს ჰუნეს...
მაშ მეც ვპოვებ ღმერთის სიტყვებს ეჭვი რაღად შემეპარა?
ღმერთი ხომ არ მომატყუებს? ჰმ! ღმერთი და მატყუარა?!..
ვიცი ტანჯვით სიკვდილსა ჰგავს—სიმარტოვის იდილია,
მაგრამ ყოფნა უტანჯველად ხომ იგივე სიკვდილია?!

.....
კვლავ მივდეგ გზას და ეს გული—ყვალგან, ყველგან დაწანწალებს
თანამგრძობელ გულს დაეძებს, თანამგრძობელს ეძებს თვალებს!..

ს. ფაშალიშვილი.





პიატიგორსკის ლაზარეთში (№ 6) წამყოფი დაჭრილი ქართველნი: 1) სიმონ სულაბერიძე, 2) მელიტონ მუმლაძე, 3) დომენტი მახათაძე, 4) სიმონ დგებუაძე და 5) არსენ მეზურნაშვილი.



პოლდორ. მირიან ჭყონია (დაჭრილი).



პოლდორ. დავით მაჭავარიანი (დაჭრილი).



უნტერ-აფიტ. კონსტანტინე კამაძე (მოკლული).



კაპ. მიხეილ ანჯაფარიძე (დაჭრილი).

კაეშანი

დიდი სევდა გულით დამაქვს,
ქვეყნად დავალ ცრემლთა მდენი...
ახ, სათქმელი რამდენი მაქვს,
ახ, რამდენი, ახ, რამდენი!..
მაგრამ აბა ყურს ვინ მიგდებს?!
ჩემ დარდისთვის ვისა სცხელა?!
ვინ მიხვდება, ვინ გაიგებს?..
უცხოს სულში რა რიგ ბნელა!!

ზღვა გრძნობათა არ მიცხრება...
ტალღა მისი ცასა სწვდება!
მაგრამ... სიტყვა პირზედ შრება:
ჯერ არ იშვა—უკვე კვდება!..
ყურში ყველას ბამბა სჩრია:
დახშული აქვს მაგრად სმენა!
მიწა კუქსა ვერ გაჰყრია.
ძილს მკონარეს კიდევ—ზენა!
ცხოვრებისა უღრან ტყეში
გზა სავალი არ იხსნება!
სულის მხრწნელი და უხეში
დაძრწის იქა, დაჰქრის ვნება!..
კაცთა ტომი უკან მიდის:
ნათელ სამოსს კერპებს აცვამს
და ღმერთაკაცს—თავის სვინდისს—
კვლავ ჯვარს აცვამს, კვლავ ჯვარს აცვამს!

კ. მაყაშვილი.

ბ უ რ უ ს ი

პიესა სამ მოქმედებად.
(შემდეგი *)

კოტე. (თეკლეს) იქნებ გამოისეირნოთ, მშვენიერი ღამეა.
თეკლე. ღამე მართლაც მშვენიერია. დათა, გინდა გავისეირნოთ?
დათა. მე ვერსად წავალ. ცოტა საქმე დამრჩა დაუთავებელი.
თეკლე. მაშ მარტო მე წავალ.
დათა. მე მგონია მარტო მაინც არ წახვალ.

*) იხ. სურათებიანი დამატება № 48.

თეკლე. ესე იგი უშენოდ.
დათა. უჩემოდ, ჰო, რა გიჭირს. (თეკლე გადის).
კოტე. ხოლო იცი, რა გითხრა დათოჯან, თუ თეკლეს, დაავი-
ანდეს, არ შეშინდე.
დათა. რა გაფრთხილება! რა შიშზე ამბობ?
კოტე. ისე, არ შეშინდე მეთქი. იცი, ძმობილო, რალაც ბოღმა
მაწევს ამ გულზე და მინდა მწუხარება შევიმსუბუქო.
დათა. მაგრამ თეკლეს რა ჯადო უნდა ჰქონდეს შენი ბოღმის
წინააღმდეგ?
კოტე. ალბად აქვს...
დათა. კოტე, რალაც იგავებით დაიწყე ლაპარაკი...
კოტე. (მალე არ უპასუხებს) აბა რას იზამ, როცა პირდაპირო-
ბა მავნებელია.
დათა. რის შემდეგ?
კოტე. გამოცდილების.
დათა. ჰმ! ჰმ!..
კოტე. ჰმ!.. (ფანჯარასთან მიდგა).
დათა. (უსტვენს).
კოტე. (სიჩუმის შემდეგ) „მახსოვს ის ღამე, როცა“... (უცებ
შესწყვეტს. ხელებს ჩააქნევს და ღუმილს მიეცემა. შემდეგ). რა დი-
დებული თქმულებაა გოლგოთაზე ქრისტეს გამგზავრება... დიახ,
გოლგოთა...
თეკლე. (გამოდის მოსახსამით. თავზე შარფი ჰხურავს) აბა, მე
მზადა ვარ. მაშ შენ არ წამოხვალ, დათა?
დათა. (აღერსიანად) არა, ჩემო მტრედო, უმჯობესია, სახლში
მოვიცადო.
თეკლე. კარგი, მარტო ჩვენ წავალთ (კოტესთან ერთად გა-
დის).
დათა. (ცოტა ხნით ერთს ალაგას დგას თავ-ჩაკიდული. შემდეგ
ფანჯარასთან მიდის და ბაღში გაიყურება. მერე პიანინოს მიუჯღე-
ბა და უკრავს მასზე ნელის, ნაზის ხმით. მოისმის ხმაურობა).
თეკლე. (შემოდის) დათა, სასიხარულო ამბავს გეტყვი.
დათა. უკვე დაბრუნდი! რა მოხდა?
თეკლე. აბა, გამოიცანი.
დათა. ალბად კოტე მოუხეშავს რასმე გეტყოდა და შენც ამის-
თვის არ წაჰყვებოდი.
თეკლე. და მერე ეს რა სასიხარულო უნდა ყოფილიყო შენ-
თვის!
დათა. ჰმ! სასიხარულო არაფერი, რასაკვირველია...
პლატონ. (შემოდის).
დათა. მამა! (გადაეხვევა და ჰკოცნის).



ბრძოლა ხმელეთზე და ჰაერში.

პლატონ. ო, შეილო, დაგვივიწყე, აღარ გაიხსენე მოხუცებული მშობლები.

დათა. დედაც ჩამოგყვა?

პლატონ. არა, შეილო, დედაშენი ხომ ძველი ქალია და ასე ადვილად ოჯახს ვერ მოაცილებ. ვეხვეწე, ვემუდარე: ქალო წამოდი, თვალს წყალი დააღვინე მეთქი. მაგრამ შენც არ მომიკვდე — არა და არაო. ისე კი ძალიან გთხოვს შენ, ჩემო შეილო, და შენც, ჩემო რძალო, ოჯახი არ დაივიწყო და მტრის გულის მოსაკლავად წელიწადში ერთხელ მაინც ჩვენი სოფელი მოინახულეთ.

დათა. ნუ თუ მართლა, მამა! ო, რა კარგია!

პლატონ. ეჰ, ჩემო ნასწავლო და განათლებულო, შეილო! განა მოხუც მშობლებს შეილმა არ უნდა აპატიოს შეცდომა? ჩვენი რძალი კი უნდა იყოს იმდენად მადლიანი, რომ ძველი დაივიწყოს და ახალი დაათასოს. რა ვუყოთ, ჩემო რძალო, შევცდით: შენი თხოვნისათვის შეილს გადავეკიდეთ, მაგრამ ეხლა კი, იცოდეს ღმერთმა, შენი საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს დამხოლოდ გამჩენს ესთხოვთ თქვენი თავი კარგად გვიმყოფოს და კაი ვაჟით გავგაბედნიეროს.

თეკლე. მადლობელი ვარ, მამა, ო, რომ იცოდეთ, როგორ მოხარული ვარ, რომ ჩემზე გული მოიბრუნეთ. გულწრფელად ვამბობ, მე თქვენ არაფერს გისაყვედურებთ.

დათა. ხოლო, თეკლე, ნულარაფერს ვილაპარაკებთ ამის შესახებ. ყველაფერი კარგად მოეწყო და სალაპარაკო არაფერი გვაქვს.

პლატონ. სწორედ, სწორედ, რომ არაფერია სალაპარაკო. დავით, უთხარი ბიჭს ხურჯინი შემოიტანოს, თუმცა თქვენ ხომ წარჩინებული ხალხი ხართ და იქნებ...

დათა. (გდახის) ბესიკ! ბესიკ! ხურჯინი შემოიტანე! (სიცილით) რაო, მამა, წარჩინებული ხალხი ვართ!

პლატონ. მაგრამ, შეილო, მაინც უნდა განახვოთ ჩემი დედაკაცის გამოგზავნილ რ. ძალიან კი იქებდა თავს და ვნახოთ, თუ არ შერცხვა.

ბესიკ. (შემო ის და ხურჯინი შემოაქვს).

პლატონ. ო, იცოდეს, ჩემო ბესიკ, ხომ კარგი გამოდგა, დავით, ეს ბიჭი? სოილში ძალიან მარჯვე იყო.

ბესიკ. (ვად)

პლატონ. (ხე თვინიდან ამოაქვს ხაჭაპურები, ტკბილეულობა და სხვა) ეს გუშინაა ააქნო ჩემმა დედაკაცმა. რომ იცოდეთ, რომ ახალი რძალის თვალში არ შერცხვნილიყო. ესეც განაჯუხი. ისე კი კარგი ღვინო დაგვიღება „წინეულს“, რომ მთელი სოფელი აშენდა. ესეც ტკბილის კვერი. როცა ამზადებდა ჩემი დედაკაცი, სულ იმას უთქვამდა: გამჩენმა ტკბილი ცხოვრება მისცა ჩემს შეილებსო და ოჯახი არ დაავიწყებინოსო. ესეც... ოჰოჰოჰო!... კი ნამდვილი საჭმელია. არ გეგონოსთ, უბრალო რამ იყოს. (ქნი ამოაქვს).

დათა. ეს რაღაა, მამაჩემო?

პლატონ. კაცო, განა დაგვიწყდა, ამ დროს ქოთნით რა წამოიღება.

თეკლე. ალბად ფელამუში იქნება.

პლატონ. ო, ხომ მიხვდა ჩემი რძალი. ფელამუში და რა ფელამუში მერე. საგანგებო არის, სწორედ, საგანგებოა. (მიიხედ-მოიხედავს) შეილო, რა მოხდა, რად არის ასე არეულ-დარეული ყველაფერი?

თეკლე. არ იფიქრო, მამა, თითქოს ეს დიასახლისის ბრალი იყოს. აი სწორედ ეხლა გავიდნენ სტუმრები. დღეს ხომ დათიკოს დღეობა არის და ჩვენც წვეულება გვქონდა.

პლატონ. დღეობა? შენი დაბადების დღეა, შეილო? ო, ჩერჩეტო მოხუცო! მოდი, შეილო, (დათასთან მიდის) გადაგებევი და მადლობას შეგსწირავ უფალს, რომ შენი თავი მომცა (ჰკოცნის).

თეკლე. (აღფრთოვანებით) მამა, გულწრფელად მითხარით, რას იტყვით, რომ თქვენს ოჯახში თქვენდა დაუკითხავად მოვსულიყავი?

პლატონ. რას ვიტყვოდი!..

თეკლე. ჰო, ვიცი, ვიცი, რომ გულგაშლილად მიმიღებდით.

პლატონ. მიგიღებდით! სირცხვილი თქვენი. მოხუცმა მამამ პირველად მოიხარა თქვენს წინ თავი და ბოდიში მოითხოვა. ეჰ, განათლებულო ხალხო! განა კული იქნებოდა, რომ მოსულიყავით ჩვენთან, კარგად დაგვეტუ-სეთ და ჰკუთა გესწავლებინათ? ჩვენც არ დავიტანჯებოდით ამ რიგად. ეჰ, განა ცოტა ლამეები გავგიტენებია მწარე ფიქრებში? მაგრამ გათავდა, მორჩა.

დათა. დიახ, მორჩა, მამაჩემო. დღეს იქით ჩვენს შორის არავითარი განხეთქილება არ არსებობს. შეხედე თეკლეს, მამა, მისი თვალები ცრემლებს თხოულობენ, მას აღელვებს შენი ჩამოსვლა და შერიგება...

თეკლე. ო, მე მართლაც მალეღვებს მამის ნახვა. მახსენდება, პატარა ქალი ვიყავი. ერთს წყნარს საღამოს მდინარის პირად, რომელიც ჩვენს ეხოს ჩამოურბოდა, მართოდ ვიჯექი. რაღაც ბავშვურ ოცნებაში ვიყავი გართული და ვფიქრობდი: აი ეხლა სოფელში ვარ, მშვენიერი ბუნება ნანას ჟღერის ჩემს უღარდელს გულს, მაგრამ იქნება არსებობს სხვა ადგილი, სადაც ვისმეს გული სევდით იყოს დასერილი და ბუნება კი იმდენად ღარიბი, რომ ნანას მაგივრად აორკვებდეს და აღრმავდეს გულის ბოლმას. ეჰ, მაშინ მე პატარა ვიყავი და არც კი ვიცოდი, რომ ჩემი ფიქრები შეუგნებლად მწარე სინამდვილეს გარს დასტრიალებდნენ.

დათა. როგორც ვხედავ, დღეს იგავებით უფრო ეხერხებათ ლაპარაკი, ვიდრე პირდაპირ.

თეკლე. მამის დანახვამ ფიქრები აღმიძრა. გამახსენდა ჩემი სოფელი, გაშლილი მინდვრები და ანკარა მდინარე. გამახსენდა ბუნება, რომელიც ხელუხლებელ მშვენიერებით არის აღვსილი. ეჰ, დავით, აწმყოს წარსული სჯობია და მეც სხვაფერი ამამეტყველა წარსულის მოგონებამ.

დათა. თეკლე, ლაპარაკს შემდეგაც მოვესწრობით და ეხლა კი, მგონია, უკეთესი იქნება მამა ვაფანშმოთ და მოვასვენოთ.

თეკლე. ო, ეს მართალია. მამა დაღლილი იქნება და მოსვენებაც ესაჭიროება. ეხლავე გავაწყობ ვახშამს.

პლატონ. არა, შეილო, ჭამა არაფრის შემოდია. ისე კი ძალიან დაღლილი ვარ და კარგი იქნება, თუ დამაძინებთ. დალაზროს ღმერთმა ის რკინის გზა. ვერ შევეჩვიე, არ იქნა, ვერ შევეჩვიე. ისევე დაილოცოს ჩემი შავრუხა. წამოვაჯდები და სამი დღე და ღამ რომ ვიარო, არ დავიღლები.

თეკლე. ეხლავე მოვასვენებ, მამა. (გადის).

პლატონ. სხვა, დათა, როგორ მიდის შენი ვექილობის საქმე? მადლობა ღმერთს, კაი ამბები მოდის. ამბობენ ხალხს ძალიან უყვარს და ძალიანაც უტანებაო.

დათა. არა უშავს, მამა, ფულის მხრივ უზრუნველყოფილი ვარ.

პლატონ. სხვა აბა რა გეკვს სადარდელი, შეილო. განათლებული და მიღებული კაცი შენ ხარ და სხვა რა უნდა გქონდეს სადარდელი? ღვთით ჩვენ არაფერი გვიჭირს შენი „შესამწევარი“. ჭადი, ლომი, პური ღვთის მოცემული უხვადა გეკვს და მეტი სოფლის კაცს რა უნდა, შეილო. დავით, აგერ მეორე წელიწადია, რაც ცოლი შეირთე... ხომ მიხვდი, რის კითხვა მინდა. კაცმა რომ თქვას...

დათა. შეილი, მგონია, არ მეყოლოს, მამაჩემო.

პლატონ. (გულ შემოყრილი) დავით!

დათა. ჰო, მამა, შეილი არ მეყოლება.

პლატონ. (ცოტა ხანს სდუმს, ჩაფიქრდება) აბა ენა როგორ მომიბრუნდება, რძლის საყვედური რამე ვთქვა... კაი ოჯახის... პატიოსანი ოჯახის შეილია...

დათა. ო, როგორ გეკადრება, მამა, განა თეკლეს პატიოსნებაში ეჭვი შეგაქვს?

პლატონ. აკი ვთქვი, ენა როგორ მომიბრუნდება მეთქი.

დათა. ეს უბრალო ასახსნელია, მამა: შეილი არ მინდა და არც მეყოლება.

პლატონ. დაგელოცა, ღმერთო, სახელი. კაცო, და მერე ეგ შენს ნებაზეა? ეგეც შემოიტანა განათლებამ?

დათა. წარმოიდგინე, რომ კი. თუმცა მე სხვა მოსახრება მეკვს. მე ვფიქრობ, მამა, რომ რაც ნაკლებად გაჩნდება ადამიანი, მით უკეთესია როგორც ჩვენთვის, ვინც ვცხოვრობთ, აგრედვე მისთვის, ვინც უნდა გაჩენილიყო.

პლატონ. ვერა, ვერა, შეილო. ღმერთმა შეიღობა მოგცეთ, მე თქვენსას ვერაფერს გავიგებ. კაცო, სად არის ნესტორ, ან ბაბიკო?

დათა. ეხლავე მოვლენ.

პლატონ. ბაბიკო უნდა წავიყვანო. მამა მისმა დამაბარა, შეძლება არა მეკვს და სწავლას უნდა მოვაშოროვო.

დათა. მამა, ეს შეუძლებელია.

პლატონ. როგორ?!

დათა. ბაბიკოს წაყვანა შეუძლებელია. ნესტორი კი უკეთესია სოფელში წამოვიდეს და იქ კარგი, სუფთა ჰაერი ისუნთქოს. რუსეთის შემდეგ ეს მისთვის აუცილებელია.

პლატონ. კი, შეილო, კი, მაგრამ ბაბო მაინც უნდა წავიყვანო; მამას ასე სურს, და ჩვენ აბა ვინ გვჯის...

დათა. ბაბიკო მუსიკას სწავლობს, მამა, და მისი სწავლის მოცილება შეუძლებელია.

პლატონ. კაცო, რის მუსიკა, სადაური მუსიკა? ის გოგო არც ისე ახლობელი ნათესავია ჩვენი. ვინ იცის, რა გაიფიქრა მისმა მამამ! იქნებ ეჭვი შეეპარა და არც უნდა ქალიშვილი სხვის ოჯახში გააჩეროს. მოძალე ხომ არა ვართ?

თეკლე. (შემოდის) მამა, წამობრძანდით!

პლატონ. აი, შეილო, ეხლა ველაპარაკებოდი დავითს, რომ ბაბიკო უნდა წავიყვინო მეთქი.

თეკლე. ბაბიკო უნდა წავიყვანოთ?!

პლატონ. სწორედ გუშინ მოვიდა მისი მამა და საგანგებოთ მოხოვა, ბაბო მომიყვანეო.

თეკლე. საკვირველია, რად მოუფიქრებიათ ბაბიკოს წაყვანა!

პლატონ. ადამიანებო, ისეთიარად შეწუხდით, თითქოს ქვეყანა ინგროდეს. გოგო სახლში წავა, აბა რა სალაპარაკოა ეს? განა თქვენთვის სულ ერთი არ არის?

თეკლე. როგორ ვთქვით მამა, იქნებ სულ ერთი არ იყოს: ბაბიკოს შევეჩვიეთ, ბაბიკოც ჩვენ შევეჩვიე და მერე რა საკვირველია, თუ დაშორება გვიჭირს... ხომ დავით?

დათა. სწორედ, სწორედ რომ აგრეა. მეც ის ვუთხარი მამას. ბაბიკოს ეხლა სახლში წასვლა რალაც გაუგებარი რამ იქნებოდა.

თეკლე. (დათას თვალს არ აშორებს) ბაბიკო აქ დარჩება და მამაც ნებაზე დაგვეყვება. მოისვენეთ, მამა!

პლატონ. რალაც არ მესმის აქაურობის...

თეკლე. (კარებშია) მამა წამობრძანდით! (გადის).

პლატონ. (უნდა დათას რალაც უთხრას) შეილო!..

დათა. (გააწყვეტინებს) მამა, მოისვენე, დაღლილი ხარ და მოისვენე ეხლა.

პლატონ. (დაღონებული უცქერის დათას. შემდეგ გადის. ბესიკ შემოდის და ხურჯინი გააქვს).

დათა. (ფანჯრებთან მიდის, გაიყურება. ეტყობა ვილაკას ხედავს და ღელავს. მაგრამ მისი მღელვარება, როგორც საზოგადოთ, ეხლაც თავდაჭერილია. ცოტა ხნის შემდეგ ღამფას ჩააქრობს. მთვარის სხივები ერთბაშად დაჰკრავს ფანჯრებს და ოთახში თავისი ნაზი სინათლით შემოიჭრება. ეხლა კი დათა კარგად ხედავს ბაბო მჯდომ ნესტორს და ბაბოს. გავა რამოდენიმე წამი სიჩუმეში).

თეკლე. (შემოდის და ნელის ნაბიჯით მიუახლოვდება დათას. პირველად დავითი მას ვერ ამჩნევს. თეკლე ნაზად ჩამოადებს ხელს მხრებზე. დათა შეკრთება). რა მშვენიერი სურათია! როგორ პირდაპირ გვიყურებს მთვარე და თავისი ნაზი სხივებით ეამბორება შენს ხუჭუჭ თმებს. გახსოვს, დავით, სწორედ ერთის წლის წინად ასეთ ნაირად ვიჯექით ამ ფანჯრებთან და შენ გატაცებით ეწაფებოდი ჩემს შუბლს. მხოლოდ ერთმა წელმა განვლო მას შემდეგ. რა ტკბილი და საოცნებო სიყვარული გეკონდა.

დათა. როგორ თუ გეკონდა?! ეხლა?!

თეკლე. არა, მე ისე ვთქვი—გეკონდა მეთქი. ეხლაც საოცნებო სიყვარული გეკვს. (მუხლებში ჩაუჯდება დათას და თმებზე ხელს უსვაშს. ნელა, ნაზად იცინის).

დათა. (ხელებზე ჰკოცნის) ჩემო მშვენიერო და სათნოებით სავსე! დიხაც რომ სიყვარულით სავსეა ჩვენი ცხოვრება. რა ბედნიერი ვარ შენთან.

თეკლე. (კვლავ იცინის ისეთივე სინაზით).

დათა. თეკლე, მითხარი, ხომ არაფერი გაწუხებს?

თეკლე. მე? რა უნდა მაწუხებდეს?!

დათა. ასე მგონია, თითქოს იღუმალობით იყოს შენი სიცილი მოცული. არა, მე ვცდები, რა თქმა უნდა, მაგრამ ასე მეჩვენა.

თეკლე. აკი ამბობენ, დავით, რომ სიყვარულში ვერაფერ პოულობს ბედნიერებასაო! შენ ხომ ასე არ ფიქრობ?

დათა. (მაშინვე არ უპასუხებს) რა ითქმას, თეკლე! განა სიყვარული ყველას ერთნაირად აქვს წარმოდგენილი?

თეკლე. ესეც გამიგონია, რომ ცოლ-ქმრული სიყვარული დიდხანს ვერ გასტანსო. შენ ხომ ასე არ ფიქრობ, დავით?

დათა. დღეს შენ რალაც უცნაური აზრები მოგდის თავში?

თეკლე. ნუ თუ უცნაურია!

დათა. არა, უცნაური მაინც და მაინც არა, მაგრამ...

თეკლე. მაგრამ რა?

დათა. მე იმის თქმა მინდა, ოჯახი ოჯახს გააჩნია, და ყველა ცოლ-ქმრული სიყვარული ერთი ხომ არ არის.

თეკლე. გატყობ, შენ არ გსურს ამ საგანზე ლაპარაკი. მაინც და მაინც არც მე მსურს. (ფანჯარაში იყურება) ხედავ, დავით?

დათა. ვის?

თეკლე. აი, ეგერ ბაბიკო ნესტორს ეალერსება. დიახ, დიახ, ეალერსება, მაგრამ მისი ალერსი ნაზი და უმანკოა. ბაბიკო ხომ სულ ბავშვია ჯერ.

დათა. ვხედავ, თეკლე, მეც იმისთვის დავჯექი აქ, რომ დავმტკბარიყავი მათი უმანკო გატაცებით.

თეკლე. (იცინის).

დათა. რისთვის გეცინება, თეკლე,

თეკლე. უკაცრავად, დავით. მართლაც უადგილო სიცილია. იცი, ჩემო არწივო, ამ ბოლო ხან რალაც უმიზეზო სიცილი შემეჭვია. დაუძახოთ ბაბიკოს. ეხლა უკვე ძილის დროა.

დათა. რად შეუშალოთ წყნარი ბაასი.

თეკლე. დავით, რაც უნდა იყოს, ბაბიკო აქვე უნდა დავტოვოთ.

დათა. განა შენც აგრე გსურს? მე ცოტა არ იყოს ვშიშობდი. (უკანასკნელს მოუფიქრებლად იტყვის) არა, სისულელეა. ჩემს დღეში არ მიფიქრია, თითქოს შენ არ გსურდეს ბაბიკოს აქ ყოფნა.

თეკლე. (წამოდგება ღინჯად) იცოდე, დავით, მე არასოდეს არ ვიქნები იმის წინააღმდეგი, რომ ბაბიკომ ჩვენთან იცხოვროს. (გადის.) (შემდეგი იქნება).

სიო ჭანტურიშვილი.